საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის:
ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები და უზრუნველყოს მათთვის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;“;

ბ) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$კ^1$“ ქვეპუნქტი:

„$კ^1$) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილის პოპულარიზაცია, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

14 ივლისი 2020 წ.

N6832-რს